ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**ლაშა მათიაშვილი**

# Vita activa და vita contemplativa: ანტიკური და შუა საუკუნეების პარადიგმები ჯორჯო აგამბენის ფილოსოფიაში

ფილოსოფიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

მაცნე

თბილისი
2018

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლელა ალექსიძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

დისერტაციის დაცვა შედგება 2018 წლის, საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 13, უნივერსიტეტის კორპუსი, -ე აუდიტორია

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის
მოვალეობის შემსრულებელი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ქეთევან ხუციშვილი

# შესავალი

წარმოდგენილი ნაშრომი თანამედროვე იტალიელი მოაზროვნის, ჯორჯო აგამბენის ფილოსოფიის კვლევას ეძღვნება. ნაშრომში მიზნად არის დასახული აგამბენის მიერ ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქალურ სააზროვნო თავისებურებათა კონტექსტში ქმედითი და მჭვრეტელობითი ცხოვრების ფორმების შესწავლა. თუმცა, ეს არ არის მხოლოდ ფილოსოფიის ისტორიის მეტ-ნაკლებად ობიექტური სურათის გადმოცემის და კვლევის უწყინარი მცდელობა. თავად აგამბენის არქეოლოგიურ-გენეალოგიური მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ქმედითი და მჭვრეტელობითი სიცოცხლის სტრუქტურული ელემენტების ანტიკურ და შუა საუკუნეების სააზროვნო ველში დაძებნით, თანამედროვე ფილოსოფიურ, კულტურულ და პოლიტიკურ დისკურსთან მათ დაკავშირებასა და აღდგენას ვცდილობთ. შეიძლება ითქვას, წინამდებარე კვლევა თანამედროვეობის ერთგვარი არქეოლოგიაა, რომელიც ისტორიული დროითობის ჰორიზონტიდან განჭვრეტს იმას რაც ჩვენს წინაშეა, რასაც უნდა ვხედავდეთ, მაგრამ ვერ ვხედავთ, რასაც უნდა ვგრძნობდეთ და ვიაზრებდეთ, მაგრამ ვერც ვგრძნობთ და ვერც ვიაზრებთ. ფილოსოფიური არქეოლოგია წარსულისკენ მიმართული ერთგვარი ჩრდილია, რომელიც თანამედროვეობის არსებისა და მდგომარეების დანახვაში გვეხმარება. თვალთან ძალიან ახლოს მყოფი საგნის სრულად და ყოვლისმომცველად შეთვალიერება შეუძლებელი თუ არა, რთულია, ამიტომ საკუთარი დროის გაგებისთვის მისგან დისტანცირებაა საჭირო. აგამბენის შემოქმედება წარსულისა და თანამედროვე ფილოსოფიური პრობლემებისადმი ამგვარი მიდგომის ნიმუშია, რომლის კვლევასაც წინამდებარე დისერტაცია წარმოადგენს. ნაშრომის სათაურიდან ჩანს, რომ ქმედითი და მჭვრეტელობითი ცხოვრების ფორმებს ანტიკური და შუა საუკუნეების პარადიგმათა კონტექსტში ვიკვლევთ. რას ნიშნავს აქ **პარადიგმა** და რატომ ვამჯობინებთ მას მაგალითად „იდეას“? თავად

ჯორჯო აგამბენის ერთ-ერთი წიგნის *„signatura rerum: მეთოდის შესახებ“* პირველი თავის სახელწოდებაა „რა არის პარადიგმა“? აგამბენი, რომელსაც ისტორიციზმში ადანაშაულებდნენ, საკუთარი მეთოდოლოგიური პრინციპის გასამართლებლად ფილოსოფიასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კონტექსტში პარადიგმის მნიშვნელობასა და ფუნქციას იკვლევს. იტალიელი ფილოსოფოსის თანახმად, ფიგურები, რომლებსაც ის საკუთარი შემოქმედების განმავლობაში იკვლევდა, პოზიტიურ ისტორიულ ფენომენებს წარმოადგნენ, მაგალითად; მუსულმანი, საგანგებო მდგომარეობა, Homo Sacer, საკონცენტრაციო ბანაკი; მიუხედავად ამისა, აგამბენი მათ პარადიგმებად მიიჩნევს, რომელთა დანიშნულება პრობლემური ველის კონსტრუირებაა. ანტიკური და შუა საუკუნეების პარადიგმებში არც ჰიპოთეზა და არც რაიმე პრობლემის ისტორიული დასაბამი არ იგულისხმება, არამედ **სტრუქტურული ანალოგი** და მაგალითი, რომლის მეშვეობითაც თანამედროვე დისკურსის ფუნქციონირების წესის დაძებნას და მათი მნიშვბნელობის ექსპლიკაციას ვცდილობთ.

**Vita activa** და **vita contemplativa**, ე.ი. ქმედითი და მჭვრეტელობითი ცხოვრების ფორმები დასავლური კულტურის და ადამიანის არსებობის წესის ორი საფუძველია, რომლებიც აგამბენის ფილოსოფიაში ანტიკური და შუა საუკუნეების სააზროვნო პარადიგმების კონტექსტშია არტიკულირებილი. მათი ახლებურად, მათ შორის თავად ჯორჯო აგამბენისაგან განსხავვებულად გააზრებისა და ინტერპრეტაციის მცდელობასაც წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს. თუ ჰანა არენდტის პოლიტიკურ ფენომენოლოგიაში ქმედითი და მჭვრეტელობითი სიცოცხლის ფორმები ერთმანეთისგან გამიჯნულია, ჯორჯო აგამბენის ფილოსოფიაში ეს ორი კომპონენტი ერთმანეთს განმსჭვალავს. ისინი თითქოს ერთმანეთს განაპირობებენ და განურჩევლობის ტოპოლოგიურ სტრუქტურაში შედიან, რომელშიც ერთის მხრიდან მეორეზე რაიმე სახის უპირატესობაზე საუბარი

შეუძლებელია. აგამბენის ფილოსოფიაში არენდტის მიერ დადგენილი ქმედითი და მჭვრეტელობითი ცხოვრების ფორმების სტრუქტურული ელემენტები ნაწილობრივ არის გაზიარებული. თუ არენდტისთვის vita activa-ს სფეროს მუშაობა, წარმოება და მოქმედება წარმოადგენს, ხოლო vita contemplativa შედგება აზროვნების, ნებისა და განსჯისგან, აგამბენთან ეს ელემენტები სხვაგვარად ვლინდება; მაგალითად მოქმედება გადადის უმოქმედობაში, რომელიც, აგამბენის თანახმად, ყველაზე დიდი მოქმედებაა. უმოქმედობა კი მჭვრეტელობასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება ნებასა და აზროვნებას, მჭვრეტელობითი სიცოცხლის ეს ორი კომპონენტი აგამბენის მიერაც არის გაზიარებული. არენდტისგან განსხვავებით, იტალიელი ფილოსოფოსი დიდ ყურადღებას უთმობს ენას და მის როგორც მჭვრეტელობით, ისე ქმედით ფუნქციებს. კვლევის პროცესში ძირითად წყაროებად გამოყენებულია აგამბენის შემდეგი ნაშრომები:

- Homo Sacer: სუვერენული ძალაუფლება და შიშველი სიცოცხლე.
- საგანგებო მდგომარეობა.
- ხელმწიფება და დიდება: ეკონომიისა და მმართველობისთეოლოგიური გენეალოგიისთვის.
- სხეულების გამოყენება.
- Opus Dei: მოვალეობის არქეოლოგია.
- რა არის ფილოსოფია?
- ენა და სიკვდილი: ნეგატიურობის ადგილი ფილოსოფიაში.
- უმწიფრობა და ისტორია.

## თემის აქტუალობა

თანამედროვე დასავლურ ფილოსოფიაში, როგორც ამერიკულ ისე ევროპულ სივრცეში, ჯორჯო აგამბენი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნლოვან და ეპოქალურ მოაზროვნედ მიიჩნევა. აგამბენის ნაშრომები თითქმის ყველა დასავლურ ენაზეა თარგმნილი, ხოლო მის ფილოსოფიას არაერთი კვლევა, მონოგრაფია, თემატური წიგნი, სამეცნიერო ჟურნალი თუ კონფერენცია ეძღვნება.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლურ აკადემიურ სივრცეში აგამბენის ფილოსოფიას თანამედროვე ფილოსოფიურ ტრადიციაში და თანამედროვე ფილოსოფოსებთან მიმართებაში იკვლევენ. განსაკუთრებით აქტუალური Homo Sacer-ის პოლიტიკური ფილოსოფიის პროექტია, რომელიც 1995 წლიდან 2014 წლამდე გრძელდებოდა. ყველაზე მეტი სამეცნიერო კვლევა და რეცეფცია Homo Sacer-ის პერიოდის აგამბენის ფილოსოფიას უკავშირდება. Homo Sacer-ში წამოჭრილი და განვითარებული პრობლემები წინამდებარე დისერტაციის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენს. ჯორჯო აგამბენის ფილოსოფია თანამედროვე დასავლური სამეცნიერო საზოგადოებისთვის მუდმივი რეფლექსიის საგანია. აგამბენის აზროვნების სიღრმე და თეორიული მნიშვნელობა, მისი პროექტების მიმართ სკეპტიკურად განწყობილმა კრიტიკოსებმაც უპირობოდ აღიარეს. მისი წიგნები თითქმის ყველა ევროპულ ენაზეა თარგმნილი. სამწუხაროდ, საქართველოში აგამბენის ფილოსოფიაზე რეფლექსია თითქმის არ მიმდინარეობს და მისი არცერთი ნაშრომი არ არის ქართულ ენაზე ნათარგმნი.

ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში აგამბენის შესახებ ფილოსოფიური ლიტერატურა უხვად მოიპოვება. თუმცა, თანამედროვე მკვლევარები ძირითადად აგამბენის თანამედროვე ავტორებთან ( ვალტერ ბენიამინი, კარლ შმიტი, მარტინ ჰაიდეგერი, მიშელ ფუკო, ჟილ დელიოზი) მიმართებას იკვლევენ. ჩვენი **მიზანი** კი აგამბენთან ანტიკური და შუა

საუკუნეების პრობლემური საკითხებისა და პარადიგმების დაძებნა და აქტუალიზაციაა, რაც აგამბენის ფილოსოფიის კვლევისა და ზოგადად ჰუმანიტარული მეცნიერებებისთვის მნიშვნელოვანი სიახლე იქნება.

## თემის მეცნიერული შესწავლის დონე

ქართულ აკადემიურ სივრცეში ჯორჯო აგამბენის ფილოსოფია შეუსწავლელია, ხოლო საერთაშორისო დონეზე იტალიელი მოაზროვნის შემოქმედებას მრავალი მეცნიერი იკვლევს. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთშიც აგამბენის ფილოსოფიაში ანტიკური და შუა საუკუნეების წყაროების ადგილი გამოუკვლეველია. აგამბენის ფილოსოფიის სხადასხვა მხარის შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ ანტიკური და შუა საუკუნეების აზროვნების კონტექსტში, ქმედითი და მჭვრეტელობითი ცხოვრების პარადიგმები კონცენტრირებულად არცერთ მათგანში არ გამოკვლეულა. აგამბენის აზროვნების კვლევას შემდეგი ნაშრომები ეხება :

- Attell K. Giorgio Agamben: Beyond the threshold of Deconstruction. New York. Fordham University Press. 2015
- Calarco M and DeCaroli S. Giorgio Agamben: Sovereignty & Life. Stanford, California. Stanford University Press. 2007
- Durantea L, Giorgio Agamben: A Critical Introduction, 2009
- Leshem D, The Origins of Neolibaralism: Modelling the Economy from Jesus to Foucault, Columbia University Press, New York, 2016

- Dickinson C,  Kotsko A, Agamben's Coming Philosopohy: Finding the New Use for Theology, Rowman & Littlefield International, 2015
- Dickinson C, Agamben and Theology,  T&T Clark, 2011
- Zartaloudis T, Giorgio Agamben: Power, Law and the Uses of Criticism, Routledge-Cavendish, 2011


აგამბენისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ ერთ ნაშრომს დავასახელებთ (Kotsko A, Salzani, C, Agamben's Philosophical Lineage Edinburgh University Press, Edinburgh University Press, 2017) რომელშიც მეტ-ნაკლებად არის ნაჩვენები აგამბენის ანტიკურ და შუა საუკუნეების ფილოსოფოსებთან მიმართება: პლატონთან, არისტოტელესთან, სტოიკოსებთან, პლოტინთან, დამასკიოსთან, ნეტარ ავგუსტინესთან, თომა აქვინელთან და ა.შ.

## ნაშრომის მიზნები

სადოქტორო კვლევის მთავარი მიზანი მჭვრეტელობითი და ქმედითი სიცოცხლის ფორმების ანტიკური და შუა საუკუნეების პარადიგმების ჯორჯო აგამბენის ფილოსოფიაში გამოყენების ინტერპრეტაცია.

აგამბენი, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, ისტორიულ, სამართლებრივ, ფილოსოფიურ და თეოლოგიურ არქივებში „მოგზაურობით“ მივიწყებულ პრობლემებსა და კონცეპტებს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს და მათ  თანამედროვე ფილოსოფიურ დისკურსში აბრუნებს. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ მჭვრეტელობითი და ქმედითი სიცოცხლის ფორმები აგამბენის ფილოსოფიაში მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და მთლიანობაში ისინი მისი ფილოსოფიურ-პოლიტიკური პროექტის მაკონსტიტუირებელი ელემენტებიც

არიან. წარმოდგენილ დისერტაციაში ამ ორი პარადიგმის კონტექსტში შემდეგი მიზნებია დასახული:

- ანტიკური და შუა საუკუნეების აზროვნების ფორმების საფუძველზე **ნებისა** და **შესაძლებლობის** კატეგორიების ანალიზი. აგრეთვე, აღნიშნული საკითხისადმი აგამბენის ამბივალენტური დამოკიდებულების ინტერპრეტაცია.
- რომის სამართლის არქაული ფიგურის Homo Sacer-ის, **საგანგებო მდგომარების, ავტორიტეტისა** და **შიშველი სიცოცხლის** ცნებების ინტერპრეტაცია და მათი თანამედროვე თეორიულ დისკურსებთან დაკავშირება.
- არისტოტელური **არააფოფანტური ლოგოსის მოდალურ ონტოლოგიად** განხილვა და თანამედროვე ძალაუფლების ფორმებთან მისი დაკავშირება.
- **უმოქმედობის** და **კანონის დეაქტივაციის** პავლესეული პარადიგმის აგამბენისეული ინტერპრეტაციის კვლევა.
- **Praxis**-ის და **Poiesis**-ის არისტოტელური პარადიგმების აგამბენისეული ინტერპრეტაციის კვლევა.
- აგამბენის ფილოსოფიის კონტექსტში პლატონური, არისტოტელური და სტოიკური ტრადიციების საფუძველზე **გამოუთქმელისა** და **გამოთქმადის** კატეგორიების შესწავლა და ინტერპრეტაცია.
- დერიდას დეკონსტრუქციაში **ხმის** აგამბენისეული კრიტიკის (ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიის მეშვეობით) და, შესაბამისად, აგამბენის მიერ ხმის პლატონურ **ხორად** ინტერპრეტაციის კვლევა.

## მეცნიერული სიახლე

ანტიკური და შუა საუკუეების სააზროვნო ტრადიციების ადგილი აგამბენის ფილოსოფიაში დასავლურ აკადემიურ სივრცეშიც ფრაგმენტულად არის შესწავლილი. ამ თვალსაზრისით სადოქტორო კვლევა ზოგადად

მნიშვნელოვანი სიახლეა არა მხოლოდ ფილოსოფიის, არამედ თეოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერებისთვისაც. თემის მეცნიერულ სიახლედ შეიძლება მისი წმინდა თეორიული შედეგებიც მივიჩნიოთ, რომლებსაც უფრო დეტალურად ნაშრომის ბოლოს, ზოგად დასკვნებში ავსახავთ.

## ნაშრომის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში რამდენიმე მეთოდია გამოყენებული. მიშელ ფუკოს მიერ დამკვიდრებული არქეოლოგიურ-გენეალოგიური მეთოდის გარდა, რომელიც ისტორიული ფაქტის პრობლემატიზაციასა და ცნების თავდაპირველი სტრუქტურული მნიშვნელობის გაგებას გულისხმობს, ჰერმენევტიკული და ფენომენოლოგიური მეთოდებიც მოვიშველიეთ. თუმცა, მთავარი მეთოდოლოგიური პრინციპი აგამბენისგან ვისესხეთ. ის თავის მეთოდოლოგიურ მიდგომას განმარტავს ლიუდვიგ ფოიერბახის სიტყვით Entwicklungsfähigkeit, რაც განვითარების უნარს ნიშნავს. ამგვარ შესაძლებლობად ესახება მას ფუკოს ბიოპოლიტიკური პარადიგმა, რომლის დაუსრულებლობა მისი განვითარების შესაძლებლობას იძლევა. ჩვენც სწორედ ამგვარი განვითარების უნარით ვხელმძღვანელობდით და ის ანტიკურ და შუა საუკუნეების ტრადიციებს მივუსადაგადეთ, ისევე როგორც თავად აგამბენის ტექსტებს. განვითარების უნარი ტექსტში უთქმელი, ღია და წმინდა შესაძლებლობის მქონე საკითხის დღის სინათლეზე გამოტანას და აქტუალიზებას გულისხმობს.

## ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის ძირითად პრობლემათა სპექტრი სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე იყო წარდგენილი.

- 2016 წელს ერფურტის უნივერსიტეტში (გერმანია) მაქს ვებერის ინსტიტუტისა და ჰაიდელბერგის

უნივერსიტეტის მიერ დოქტორანტებისთვის ორგანიზებულ ზამთრის სკოლაში გაკეთდა პრეზენტაცია თემაზე **„ნება, შესაძლებლობა და დროითობა აგამბენის ფილოსოფიაში“,** რომელიც დისერტაციის ბოლო თავის თემას წარმოადგენს.

- 2016 წელს ფილოსოფიის საერთაშორისო ფესტივალზე, ისკიაზე (იტალია) წარმოდგენილი იყო მოხსენება **„არააპოფანტური ლოგოსი, როგორც მოდალური ონტოლოგია“**, რომელიც დისერტაციის ცალკე თავსაც წარმოადგენს.
- 2015 წელს, ევროპული სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ევრაზიის მულტიდისციპლინურ ფორუმზე წარმოდგენილი იყო მოხსენება **„ავტორიტეტის გენეალოგია და სუვერენულობის პარადოქსი“,** რაც დისერტაციის შესავალი ნაწილის, პირველი თავის მთავარ საკითხს წარმოადგენს.
- 2018 წლის მარტში, ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსიტუტში შედგა საჯარო ლექცია **ეკონომიის** და **ონტოლოგიის** შესახებ აგამბენის ფილოსოფიაში, რომელიც სადისერტაციო ნაშრომის მე-2 თავშია განხილული.

დასახელებულ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობამ და სამეცნიერო საზოგადოებასთან ურთიერთობამ კვლევის განვითარების კონტურები გამოკვეთა და მისი დინამიკა განსაზღვრა.

დისერტაციასთან დაკავშირებული საკითხები ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

- Matiashvili L, Genealogy of Authority and the Puzzle of Sovereignty. European Scientific Journal. 2015, ISSN: 1857 - 7881 (Print); ISSN: 1857 - 7431 (Online)
- Matiashvili L, Non-Apophantic Logos as Modal Ontology. European Scientific Journal. December issue, 259-267,

2016, ISSN: 1857 - 7881 (Print) ISSN: 1857 - 7431 (Online)

- Matiashvili L, Economy and Ontology: The Mystery of Power in the Philosophy of Giorgio Agamben, London Academic Publishing, Brolly. Journal of Social Research, (August, 2018)
- მათიაშვილი ლ, ენა და ფიცი: ფილონ ალექსანდრიელიდან სამეტყველო აქტების თეორიამდე: კრებულში: ენა, კულტურა, ფილოსოფია ეძღვნება ფილოსოფოს მამუკა ბიჭაშვილის ხსოვნას. რედ. ა ყულიჯანაშვილის, მ. ქერქაძე, „მერიდიანი“, თბილისი, 2016, გვ. 196-201, ISBN 978-99441-25—215-0

## ნაშრომის სტრუქტურა და შესავალი

ნაშრომი შედგება შესავლისგან, პარაგრაფებად დაყოფილი 8 თავისგან და დასკვნისაგან. ნაშრომის ბოლოს მოცემულია ბიბლიოგრაფია.

**შესავალში** წარმოდგენილია ნაშრომის ძირითადი პრობლემების მონახაზი და განხილულია აგამბენის ფილოსოფიის ზოგადი თავისებურება და მნიშვნელობა, აგრეთვე დასახულია ნაშრომის მიზნები და ამოცანები.

### თავი I

პირველი თავის პირველი პარაგრაფი, **„საგანგებო მდგომარეობა და შიშველი სიცოცხლე**“, როგორც სათაურიდან ჩანს, საგანგებო მდგომარეობის ისტორიულ ანალიზს და სუვერენულ გადაწყვეტილებასთან მის კავშირს ეხება. სუვერენულობის პარადოქსი შემდეგში მდგომარეობს: თუ სუვერენი საგანგებო მდგომარეობას ლეგალურ-სამართლებრივი უფლებით აცხადებს, მაშინ კანონი საკუთარ

სხეულში თვითდესტრუქციულ ელემენტს ატარებს, რადგან საგანგებო მდგომარეობაში მისი ძალა და ფუნქციონირება დროებით ჩერდება. ამგვარ მდგომარეობაში, როდესაც კანონს სუვერენული გადაწყვეტილება ანაცვლებს, სუვერენი ამბივალენტურ, პარადოქსულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. სუვერენი ერთდროულად აღემატება კანონს და მისითაც არის განსაზღვრული. უკიდურესად რთული და პოლიტიკურად საზღვრითი მდგომარეობისას, სამოქალაქო დაპირისპირების თუ საგარეო შეიარაღებული საფრთხის შემთხვევაში, სენატი საზოგადოებრივი მღელვარების და საფრთხის საფუძველზე საგანგებო განკარკულებას გამოსცემდა, ეს განკარგულება კი საგანგებო მდგომარეობის ერთგვარი ისტორიული ანალოგიაა, რომელიც სიტყვა **Iustitium**-ით გამოითქმება, რაც კანონის დროებით შეჩერებას, მისი ძალის დეაქტივაცისა ნიშნავს.

მეორე პარაგრაფი „**Auctoritas და საგანგებო მდგომარეობა**“ პირველში დასმული და გამოკვლეული საკითხის ლოგიკური გაგრძელებაა, რომელშიც საგანგებო მდგომარეობის და ავტორიტეტის ცნებები არის შესწავლილი. ბერძნული სამყაროს მითოლოგიური და ფილოსოფიური ტრადიციისთვის მამის უარყოფა ან/და მისი მკვლელობა უცხო არ არის. საკმარისი იქნება ოიდიპოსისა და პლატონის „სოფისტის“ გახსენება, რომელშიც „მამის“ სიმბოლურ ხატად წარმოდგენილი პარმენიდე უარყოფის და „მკვლელობის“ ობიექტი ხდება. რომაული პოლიტიკური ორგანიზაციის სტრუქტურა და ყოველდღიურობა კი ტრადიციისა და წარსულის „საკრალიზებით“ აფუძნებს კანონმდებელი მამის მეტაფორულ ფიგურას. მდიდარი პოლიტიკური გამოცდილების მქონე ბერძნებს, ავტორიტეტის აღმნიშვნელი სიტყვა არ ჰქონდათ. ანტიკურ საბერძნეთში საჯარო და კერძო სივრცეს შორის მკვეთრი სადემარკაციო ხაზი იყო გავლებული. οἰκονομία აღნიშნავდა სახლის პრივატულ განზომლებას, საოჯახო მეურნეობას, რომელსაც მართავდა δεσπότης.

ბერძნული წარმოშობის რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიუსი ლათინური სიტყვის-auctoritas ბერძნულად ერთმნიშვნელოვანი თარგმანის შეუძლებლობაზე მიუთითებდა. დიონის მიხედვით, auctoritas ბერძნულად კონტექსტისა და გადმოსაცემი შინაარსის გათვალისწინებით ითარგმნება, რადგან ამ სპეციფიკურად რომაულ პოლიტიკურ კონტექსტში წარმოქმნილ სიტყვას პირდაპირი შესატყვისი ბერძნულში არ მოეპოვებოდა.

მესამე პარაგრაფი „**Homo Sacer და შიშველი სიცოცხლე**", რომაული სამართლის არქაულ ფიგურას ეძღვნება, რომელიც ლეგალ-სამართლებრივი სივრციდან განიდევნებოდა და მთელი მისი არსებობა შიშველ სიცოცხლეზე დაიყვანებოდა. ამ კონტექსტში აუცილებელია აგამბენის მიერ სიცოცხლის ორი ფორმის გარჩევა. აგამბენის აზრით, ბერძნები ერთმანეთისგან განასხვავებდნენ საერთო არსებობას ყველასთვის, მცენარეებისთვის, ცხოველებისთვის და ადამიანებისთვის, რომელიც გამოიხატება სიტყვით **Zoe**, ხოლო პოლიტიკურად კვალიფიცირებულ სიცოცხლის ფორმას **Bios** ეწოდება. **Homo Sacer-ის** არსებობა აკრძალვისა და განდევნის შემდეგ Zoe-ზე, ე.ი. შიშველ სიცოცხლეზე დაიყვანებოდა, რაც უუფლებო, კანონგარეშე არსებობას ნიშნავს. სასჯელი ითვალისწინება Homo Sacer-ის მოკვლას, ისე რომ მკვლელი კანონის წინაშე არ აგებდა პასუხს, მისი ღმერთებისთვის მსხვერპლად შეწირვაც კი იკრძალებოდა. მისთვის ყველა პოტენციური სუვერენია, რომლებიც სიკვდილ-სიცოცხლეზე იღებენ გადაწყვეტილებას. აგამბენი, იმის გარდა რომ ფუკოს ბიოპოლიტიკურ პარადიგმას ავითარებს და მის თანამედროვე მანიფესტაციებს აკრიტიკებს, ფუკოსგან ბიოპოლიტიკის ისტორიული დასაბამის შესახებ შეხედეულებითაც განსხვავდება. ფრანგი მოაზროვნისთვის სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელების ბიოპოლიტიკური ფორმა მოდერნულობის ეპისტემეს მიჯნაზე

გაჩნდა. აგამბენი მიიჩნევს, რომ ბიოპოლიტიკას ფესვები ანტიკურ სამყაროში აქვს გადგმული, რაც ძალიან კარგად ჩანს მის მიერ აქტუალიზირებულ Homo Sacer-ის ფიგურაში. საგანგებო მდგომარეობა, როგორც წარმოსახვითი აზრობრივი კონსტრუქცია დასახელებული პარადიგმების დაბადებისა და ფუნქციონირების სივრცეა. სწორედ საგანგებო მდგომარეობაში ჩნდებიან პერიფერიული და მარგინალიზირებული სუბიექტები. შიშველი სიცოცხლე სწორედ ასეთი საგანგებო მდგომარეობაა.

დისერტაციის პირველი თავი ქმედითი სიცოცხლის პარადიგმის კონტექსტშია განხილული. კერძოდ, ის არის თანამედროვე ბიოპოლიტიკის ისტორიული პრეფიგურაციების დაძებნის მცდელობა, რომელიც თანამედროვე პოლიტიკური მოქმედების კრიზისის შესახებ კრიტიკულ რეფლექსიას წარმოადგენს.

## თავი II

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი, **„ეკონომია და ონტოლოგია: ჯორჯო აგამბენის მეტაფიზიკურ-პოლიტიკური პროექტის შესახებ“**, შესავლის, ხუთი პარაგრაფისა და დასკვნისაგან შედგება (2.1. ეკონომიის არქეოლოგია; 2.2. ქრისტიანობამდელი ეკონომია; 2.3. „ეკონომიის“ თეოლოგიური მნიშვნელობისთვის: სტრატეგიული ცვლილება; 2.4. ღვთაებრივი ანარქია; 2.5. „მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს“)

შესავალში მონიშნულია პრობლემური ველი, კერძოდ, დასმულია საკითხი და განხილულია აგამბენის პოსტფუკოსეული ბიოპოლიტიკის არქეოლოგია. აგამბენის მიზანი დასავლურ სოციო-პოლიტიკურ ტრადიციაში ძალაუფლების მეტამორფოზის ანალიზია. აგამბენს აინტერესებს, თუ რატომ მიიღო ძალაუფლებამ ეკონომიის

ფორმა, რომელიც მიშელ ფუკოს გენეალოგიური გამოკვლევების მიხედვით „ადამიანების მართვას“ ნიშნავს. ფუკომ თანამედროვე მენეჯერულ-ადმინისტრაციული ძალაუფლების დასაბამად პასტორული პარადიგმა მიიჩნია, რომელშიც მთავარი მიზანი ადამიანის ცნობიერების დამორჩილება და მისი მართვაა. აგამბენის შემთხვევაში ძალაუფლების კვლევის არქეოლოგიურ-გენეალოგიური ჰორიზონტი ადრეული ქრისტიანული თეოლოგიის ტრადიციას ფარავს.

პირველი პარაგრაფი **„ეკონომიის არქეოლოგია“** ტერმინ ეკონომიის თეოლოგიური კვლევაა. აგამბენის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი პოლიტიკური თეოლოგიის და ეკონომიური თეოლოგიის მონაცვლეობის, ანტინომიურობის და მათი ფუნქციური დაკავშირებულობის წარმოჩენაა. ორივე პარადიგმის საფუძველი ქრისტიანული თეოლოგიაა. წყარო ერთია, მხოლოდ ინტერპრეტაციებია სხვაგვარი. პოლიტიკური თეოლოგიის თეორიული დაფუძნება გერმანელი იურისტის და კათოლოკე კონსერვატორის, კარლ შმიტის სახელს უკავშირდება, ხოლო ტრინიტარული ეკონომიის იდეის გამოყენებით მისი გაბათილება შმიტის მოწინააღმდეგე თეოლოგმა, ერიკ პეტერსონმა სცადა. პოლიტიკური თეოლოგია პროფანულ სუვერენულ ძალაუფლებას ტრანსცენდენტური ღმერთის იდეაზე აფუძნებს, ეკონომიური თეოლოგია კი ტრანსცენდენტურობის იდეას იმანენტურობით ანაცვლებს, რომლის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი არის არა სუვერენული ინტერვენცია ან ღმერთის ხატად ყოფნა, არამედ ადმინისტრირება და მოწესრიგება.

მეორე პარაგრაფში “**ქრისტიანობამდელი ეკონომია**”**,** განხილულია ქრისტიანობამდელი ეკონომია, კერძოდ, მისი არისტოტელური მნიშვნელობა და რიტორიკაში მისი ფუნქცია.

მესამე პარაგრაფი **“ეკონომიის“ თეოლოგიური მნიშვნელობისთვის: სტრატეგიული ცვლილება”**, ქრისტიანულ თეოლოგიაში ტერმინ „ეკონომიის“ მნიშვნელობის ტრანსფორმაცია ეხება. ეკლესიის ისტორიასა და თეოლოგიაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ეკონომიის ტრადიციული მნიშვნელობის მოდიფიცირება და მისი თეოლოგიურ ლექსიკონში ჩართვა, პავლე მოციქულის ეპისტოლეებს უკავშირდება. ამ ძირითადი და, მაშასადამე, გაბატონებული პარადიგმის მიხედვით, პავლე იყო პირველი, ვინც „ეკონომია“თეოლოგიური მნიშვნელობით გამოიყენა. თუმცა, ჯორჯო აგამბენის გამოკვლევებმა ეკონომიის მნიშვნელობის თეოლოგიზირება არა პავლე მოციქულის ეპისტოლეებს, არამედ ტერტულიანეს და იპოლიტეს სახელს დაუკავშირა. პავლეს მიერ ტერმინის “oikonimia” გამოყენება საკუთარი თავისა და მესიანური თემის მიმართ არ არის პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობს ალენ ბადიუ ნაშრომში „პავლე და უნივერსალიზმის დაფუძნება“ და იაკობ ტაუბესი წიგნში „პავლეს პოლიტიკური თეოლოგია“. აგამბენის თანახმად, პავლე სიტყვას oἰκονομία საოჯახო მეურნეობის არისტოტელური მნიშვნელობით იყენებდა. საოჯახო მეურნეობის სივრცეს მიეკუთვნება აგრეთვე სიტყვები მონა (*doulous*) და მსახური (*diakonos*), რომლებსაც პავლე საკუთარი ფუნქციისა და მდგომარეობის გადმოსაცემად ხმარობდა. როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიის თეოლოგიზირება აგამბენთან ტერტულიანეს და იპოლიტეს სახელებს უკავშირდება.

მეოთხე პარაგრაფი **„ღვთაებრივი ანარქია“, მოქმედების** და **არსების** პარადიგმებს ეხება. აგამბენის თანახმად, ღმერთის არსების და მოქმედების, **ონტოლოგიის** და **პრაქსისის** გამიჯვნა, ეს „საიდუმლო დუალიზმი“ ეკონომიური დოქტრინის და ქრისტიანული თეოლოგიის ერთ-ერთი ძირეული

პრობლემათაგანია. არსებობისა და ენის კლასიკური ბერძნული გაიგივება ქრისტიანულ თეოლოგიაში მოიხსნა იმით, რომ ლოგოსი, როგორც ხსნის საყოველთაო გეგმის განმახორციელებელი, როგორც პრაქსისი და ეკონომია, არიანელობასთან დავის ლოგიკური შედეგის შემდეგ ანარქიულად, ე.ი. დაუსაბამოდ გამოცხადდა. სამყაროს ძველი ბერძნული სურათი არსებისა და მოქმედების განურჩევლობაა; მაგალითდ, არისტოტელეს უძრავი მამოძრავებელი ზეციურ სფეროებს ამოძრავებს აუცილებლობით, საკუთარი ბუნების იმანენტური კანონიდან გამომდინარე და არა იმიტომ, რომ ეს მას სურს. ის საკუთარ თავთან აბსოლუტურად იგივეობრივია. ბერძნული სამყარო არის არსებობისა და მოქმედების იდეალური თანხმობა და ერთიანობა.

მეხუთე პარაგრაფში **"მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს"**, განხილულია **მეფობის** და **მმართველობის** პარადიგმები. მეფობასა და მმართველობას შორის განსხვავება პოლიტიკური კონტექსტის შეძენამდე და მასში არტიკულირებამდე, აგამბენის კვალდაკვალ თეოლოგიურ ტრადიციაში უნდა ვეძებოთ. მეფობა და მმართველობა, შეიძლება აგრეთვე შეესაბამებოდეს იმ თეოლოგიურ პარადიგმას, რომლის თანახმადაც ღმერთის არსებობა და პრაქსისი, მისი საკუთარ თავში, თავისთავად და თავისთვის ყოფნა და ხსნის საყოველთაო ისტორია აპორეტულად უკავშირდება ერთმანეთს ეკონომიის ტრინიტარულ ფორმაში. არსების და მოქმედების ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულ ბინარულ ოპოზიციას მეფობის და მმართველობისა თეოლოგიურ-პოლიტიკური პარადიგმა შეესაბამება, რომელშიც ღმერთი (მეფე) სუფევს და არ მოქმედებს.

# თავი III

ქმედითი სიცოცხლის პარადიგმაში ძირითადი დატვირთვა პოლიტიკური მოქმედების ცნებას ხვდა წილად, შესაბამისად, ლეგიტიმური იქნება დავსვათ კითხვა, თუ რამდენად მიზანშეწონილია აგამბენის ფილოსოფიაში უმოქმედობის კონცეპტის პოლიტიკურ კატეგორიად განხილვა. აგამბენთან უმოქმედობა გაბატონებული ძალმომრეობითი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობიდან თავის დაღწევისა და გათავისუფლების ერთადერთი გზაა. თუ მიშელ ფუკო, ძალაუფლების განხორციელების თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების ერთგვაროვან ზემოქმედებაზე საუბრისას, ფიქრობს, რომ ერთადერთი გამოსავალი ძალაუფლების განმახორციელებელი ინსტიტუტების იმანენტური კრიტიკა და წინააღმდეგობის გაწევაა, აგამბენის თვალსაზრისით, ყველაზე ეფექტური მოქმედება უმოქმედობაა. ეს კი ისეთ მდგომარეობას ნიშნავს, როდესაც ადამიანი უარს აცხადებს პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ინსტიტუტების მორჩილებაზე.

პირველი პარაგრაფი **„პავლე მოციქული: უმოქმედობა და რჯულის დეაქტივაცია**“ აგამბენის მიერ პავლე მოციქულის ეპისტოლეების ინტერპრეტაციას ეძღვნება. მთავარი კითხვა, რომელსაც იტალიელი ფილოსოფოსი სვამს არის შემდეგი: პავლეს მესიანური ნარატივის კონტექსტში, რა მნიშვნელობა აქვს ცნებას, რომელიც შეიძლება როგორც დეაქტივაციად, ისე უმოქმედობად გავიგოთ? როგორც აგამბენი აღნიშნავს სიტყვა *Katargein* საკუთრივ პავლე მოციქულის მიერ შექმნილი ტექნიკური ტერმინია. უმოქმედობის ან დეაქტივაციის ცნებები იუდაური კანონის პავლესეული კრიტიკის შუქზე უნდა განვიხილოთ. მხოლოდ ამის შემდეგ მოეფინება ნათელი მესიანური ფენომენის და ნომოსის ურთიერთმიმართებას. *Katargeo* სიტყვასიტყვით ნიშნავს „ვაუქმებ“, „ვაჩერებ“,უფრო ზუსტად, კანონი რწმენის (pistis) მეშვეობით კი არ უქმდება, არამედ მას ძალმოსილება ეკარგება და ხდება უქმე. აგამბენი

აღნიშნავს, რომ ამ ტერმინში არ უნდა ვიგულისხმოთ განადგურება და გაქრობა, არამედ დეაქტივაცია, რაც კანონის ქმედითობის შეჩერებას გულისხმობს. აგამბენის არქეოლოგიური და ამავე დროს ჰერმენევტიკურლი მიებები, მას პავლესეული **katargesis**-ის დიალექტიკურ მნიშვნელობას აღმოაჩენინებს. აგამბენის აღმოჩენის მიხედვით ლუთერი ტერმინ *katargesis*-ის თარგმანისას, სიტყვა *Aufhebung* იყენებს. აგამბენი ლუთერის ნაწერების დეტალური შესწავლის საფუძველზე მიიჩნევს, რომ პროტესტანტ ბერს ბერძნული სიტყვის ორმაგი მნიშვნელობა გააზრებული ჰქონდა. პავლესეული *katargesis*, რომელიც ლუთერმა თარგმნა როგორც *Aufhebung*, კანონის გაუქმებას და დასასრულს კი არ ნიშნავს, არამედ მის მოხსნას, შეთვალიერებას და შენახვას. პავლეს სწორედ უცნაური პროტო-ჰეგელიანური მოხსნა-შენახვის დიალექტიკა ნათელყოფს მის ერთი შეხედვით თვითწინააღმდეგობას, რომელიც ადრეული კომენტატორებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

მეორე პარაგრაფი **„უქმეობა და მჭვრეტელობა“** ბიოპოლიტიკის თეოლოგიური საფუძვლების დაძებნას ეხება. ჩვენი ვარაუდით, აგამბენისთვის უქმეობის და მისი მჭვრეტელობასთან კავშირის არქეოლოგიური კვლევა ერთ მიზანს, თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიური ძალაუფლების და ბიოპოლიტიკური წნეხის წინააღმდეგ ბრძოლისთვის იარაღის შექმნას ემსახურება, რაც ძალაუფლების განმახორციელებელი ცენტრებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარს გულისხმობს. აგამბენი, ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც ჟილ დელიოზის მიერ წაკითხულ ლექციას ეძღვნება „რა არის შემოქმედების აქტი“ ფრანგი ფილოსოფოსის კვალდაკვალ წინააღმდეგობის ცნებას ეხება და განმარტავს, რომ დელიოზისეული კრეაციის აქტი, როგორც წინააღმდეგობის აქტი, ერთ ნაკლს გულისხმობს, სახელდობრ განუმარტებლობას. დელიოზი არსად განმარტავს ამ ფრაზის მნიშვნელობას, თუ რას ნიშნავს წინააღმდეგობა და რატომ არის ის შემოქმედებით აქტთან დაკავშირებული? სწორედ

უმოქმედობა არის წინააღმდეგობა, რომელიც ჭვრეტის, მოქმედებისა და ახალი სუბიექტურობის გამოკრისტალების წინაპირობას წარმოადგენს.

## თავი IV

დისერტაციის მეოთხე თავს **„ხმის დეკონსტრუქციული და არქეოლოგიური პარადიგმები**“ ეწოდება. ის ხმის შესახებ ჟაკ დერიდასა და ჯორჯო აგამბენის ფილოსოფიურ რეფლექსიებს ეძღვნება. თუ დერიდა ხმის ფენომენს თანამედროვე ფილოსოფიურ კონტექსტში, კერძოდ ჰუსერლის ფენომენოლოგიის კრიტიკისას იყენებს, აგამბენის განზრახვა დერიდას დეკონსტრუქციული პროექტის გადასინჯვაა, რასაც ის ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიის დახმარებით ცდილობს.

პირველ პარაგრაფში განხილულია ჟაკ დერიდას მიერ ჰუსერლის ფილოსოფიის დეკონსტრუქციული კრიტიკა და ხმის როლი ამ პროცესში. იდეალური ობიექტის დასწრებულობის (უსასრულო გამეორებას) და თვითდასწრებულობის (სიახლოვის) ერთდროულობა აუცილებლად მოითხოვს ხმას. ხმის ფენომენოლოგიური უნიკალურობა გამოიხატება იმაში რომ სუბიექტის მიერ საკუთარი საუბრის მოსმენა პარალელურად საუბრის შინაარსისა და საზრისის გაგებასაც გულისხმობს. საუბრისას საკუთარი თავის მოსმენა დერიდას თანახმად, არის თვითსიყვარულის, ანუ ნარცისიზმის (auto-affection) აბსოლუტურად უნიკალური ფორმა, ხოლო მის წინაპირობასა და საფუძველს წარმოადგენს თვით-სიახლოვე (self-proximity), რომელიც ზოგადად სივრცის აბსოლუტურ რედუქციას გულისხმობს. დერიდას თანახმად, საკუთრივ ფონემა ფენომენის ყველაზე იდეალურ და მადომინირებელ ფორმას წარმოადგენს. წმინდა ფენომენოლოგიური რედუქციის თვალსაზრისით განხილული მეტყველება თავად განეკუთვნება

ფენომენის კატეგორიას, რომელსაც უკვე შეწყვეტილი და ნეიტრალიზებული აქვს სამყაროს ექსისტენციური თეზისი და ბუნებრივი პოზიცია. საკუთარი საუბრის მოსმენისას სუბიექტი არ ტოვებს საკუთარ თავსა და საზღვრებს, მას არ ესაჭიროება სივრცეში გასვლა, სწორედ ამიტომ წარმოადგენს ის ნარცისიზმის უნიკალურ ფორმას, მისი გადაცემა და გამეორება არავითარ დაბრკოლებასა და წინაღობას არ ხვდება. ხმის ამგვარი გაგებიდან გამომდინარე, საკუთარი საუბრის მოსმენისას აღსანიშნი და აღმნიშვნელი იმდენად ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ აღმნიშვნელის გამჭვირვალობა აბსოლუტური ხდება.

მეორე პარაგრაფში **(ჯორჯო აგამბენის ხმის არქეოლოგია)** აგამბენისეული ხმის ფილოსოფიაა გამოკვლეული, რომლის იმპლიციტური სამიზნე დერიდას „გრამატოლოგიის“ პროექტია. აგამბენი აქაც არისოტოტელეს ერთგული რჩება და მისი ციტირებით, ცდილობს წარმოაჩინოს, რომ დერიდას მიერ დასავლურ მეტაფიზიკაში ხმის მიერ ნაწერის რეპრესიის მტკიცება და შესაბამისად „გრამატოლოგია“, როგორც ნაწერის შესახებ მეცნიერება არა უახლოესი წარსულის, არამედ ანტიკურ ტრადიციაში ენისა და ხმის შესახებ რეფლექსიის მონაპოვარია.

მესამე პარაგრაფი **„ლოგოსის ფილოსოფოსი გამოუთქმელის სადარაჯოზე**“, აგამბენის მიერ ჰეგელის „ელევსინური მისტერიების“ ინტერპრეტაციას ეძღვნება.

მეოთხე პარაგრაფი (**ხმა როგორც χώρα**), ხმის, როგორც აბსოლუტური შესაძლებლობისა და მატერიის თეორიას ეძღვნება. აქვე შემოდის პლატონური *χώρα,* რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არის არისტოტელეს მატერია და რომელსაც ხმის სტრუქტურულ ანალოგად მივიჩნევთ.

მეექვსე პარაგრაფი (**Flatus vocis: მოკლე ექსკურსი შუა საუკუნეების ხმის ფილოსოფიაში**) შუა საუკუნეების ხმის ფილოსოფიაში ერთგვარ ექსკურსს წარმოადგენს, რომელშიც განხილულია „მდუმარე ხმის“ მითოლოგება, ავგუსტინესეული

„ცარიელი ხმა“ (inanem vocem) და ანსელმისეული „ხმის ფშვინვა“ (Flatus vocis).

## თავი V

მეხუთე თავი, **„გამოუთქმელი და გამოთქმადი“**, ენის ეპისტემოლოგიური საზღვრების კვლევას ეძღვნება, რაც ძირითადად აგამბენის მიერ პლატონის „მეშვიდე წერილის“ ინტერპრეტაციის კონტექსტშია განხორციელებული. აგამბენისთვის გამოუთქმელი როგორც ასეთი მხოლოდ ენაშია შესაძლებელი.

თავისთავადი საგანი, გამოუთქმელობის მიუხედავად, ენაშია დაუნჯებული, ენა გამოუთქმელის უძირეულესი შესაძლებლობაა. თითქოს გამოუთქმელი აღემატება ენას და მის სისუსტეზე მიუთითებს, მაგრამ ის ამავე დროს მხოლოდ ენაში გამოითქმის, როგორც გამოუთქმელი. აგამბენი ცოდნის მოპოვებისთვის აუცილებელ პლატონურ ელემენტებს სტოელთა მიერ შემუშავებულ ენობრივი მნიშვნელობის სამწევრა მიმართებათა სისტემას ადარებს. ენობრივი მნიშვნელობის შესახებ რეფლექსია სტოიკოსებამდე, პლატონთან არის საძიებელი. პლატონის იერარქიულ სტრუქტურაში სახელს (ὄνομα) შეესაბამება სტოელთა აღმნიშვნელი (σημαῖνον*),* განსაზღვრება ((λόγος) კი, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ გამოვსახოთ და, ამავე დროს, სტოელთა მიერ ნაგულისხმევი მნიშვნელობა შევინარჩუნოთ, არის რეფერენტი, იგივე აღსანიშნი (σημαινόμενον), ხოლო მესამე არის გამოსახულება, (εἴδωλον) რომელსაც აქტუალური რეფერენტი, სტოელთა საგანი თუ ობიექტი *(τυγχάνον)* შეესაბამება. პლატონის დაუწერელი ეზოთერული დოქტრინა, თუ ასეთი რამ მართლაც არსებობს გამოუთქმელია. თუმცა, თავისთავადი საგნის, როგორც გამოუთქმელის პარადოქსულობა იმაში მდგომარეობს, რომ ის

ენობრივი მნიშვლობების ველს არ ტოვებს და მხოლოდ მასში და მისი მეშვეობით მოგვეცემა, სწორედ ეს მეხუთე საფეხური არის იდეა, თავისთავადი საგანი.

## თავი VI

მეექვსე თავი, „**Vita activa და vita contemplativa: ანტიკური და შუა საუკუნეების პარადიგმები აგამბენისა და არენდტის ფილოსოფიებში**“ ორი ფილოსოფოსის ერთგვარი შედარებითი ანალიზია. არენდტსა და აგამბენს საერთო აქვთ ისიც რომ, ორივე ჰაიდეგერის სტუდენტი იყო: არენდტი ოციან, ხოლო აგამბენი სამოციან წლებში. თუ „ადამიანური მდგომარეობა“ ქმედითი სიცოცხლის (Vita activa) პარადიგმის დაფუძნებასა და მისი სტრუქტურული ელემენტების ექსპლიკაციას ემსახურება, „გონების სიცოცხლე“ მჭვრეტელობით სიცოცხლეს (Vita contemplativa) ეძღვნება. არენდტმა ქმედითი სიცოცხლის სამი სტრუქტურული ელემენტის (შრომა, მუშაობა, მოქმედება) საპირწონედ აზროვნება, ნებელობა და მსჯელობა წამოაყენა. განზრახული და გაცნობიერებული ჰქონდა თუ არა, არ ვიცით, მაგრამ არენდტის მიერ შერჩეული სათაურების თანმიმდევრობა კანტის სამი კრიტიკის პრობლემებს ეხმიანება: 1) აზროვნება-„წმინდა გონების კრიტიკა“ და, შესაბამისად ეპისტემოლოგიური კითხვა, რა შემიძლია ვიცოდე? 2) ნება-„პრაქტიკული გონების კრიტიკა“: ეთიკური კითხვა, რა უნდა ვაკეთო? 3) მსჯელობა-„მსჯელობის უნარის კრიტიკა“ რომლის მთავარი კითხვაც ასე ჟღერს: რისი იმედი შეიძლება მქონდეს? მე-6 თავის პირველი პარაგრაფი **Praxis**-ის და **Poiesis**-ის მნიშვნელობებსა და მათ ურთიერთმიმართებას ეხება, რომელსაც საფუძველი არისტოტელეს ფილოსოფიაში აქვს. აღსანიშნავია აგრეთვე აგამბენის მიერ არენდტის მოქმედების თეორიის კრიტიკა. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, არენდტს „ადამიანურ მდგომარეობაში“ ქმედითი და მჭვრეტელობითი

სიცოცხლის ფორმებს შორის არსებული იერარქიისა და სუბორდინაციის დარღვევა ეწადა, რაც აგანბენის თანახმად, ვერ განხორციელდა.

მეორე პარაგრაფში **(ნებისმიერი სინგულარობა)** მოკლედ არის განხილული აგამბენისეული „ნებისმიერი სინგულარობის" გაგება. „ნებისმიერი" აგამბენმა სქოლასტიკური ფილოსოფიიდან ისესხა და საკმაოდ ორიგინალურად გამოიყენა „მომავლის თემის" იდეის გასააზრებლად. ტერმინი „ნებისმიერი" (quodlibet)[1] არ ნიშნავს რომელიმე კერძო საკუთრების ან თვისების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას, არამედ ყოფიერებას როგორც ასეთს, როგორიც ის არის თავის თვითგამოვლენაში. ნებისმიერი არც კერძრო საგნის ან არსებულის პრედიკაციულ დიფერენცირებას გამოხატავს და მითუმეტეს არც ზოგადს. არა ლამაზი, მშვენიერი, კეთილი ან მეგობრული, არამედ ნებისმიერი არსებული როგორც ასეთი, მისი აბსოლუტური და ტოტალური, უპირობა სინგულარობა არის უანგარო ნების და სხვასთან ზიარების წინაპირობა.

## თავი VII

**„არააპოფანტური ლოგოსი როგორც მოდალური ონტოლოგია"** მე-7 თავის სათაურია. არააპოფანტური სახის გამოთქმები მოდალური ონტოლოგიის ძირითად სტრუქტურას აყალიბებენ. არააპოფანტური ლოგოსი ჭეშმარიტებისა და მცდარობის კატეგორიების მიღმაა. ამ გამოთქმებს წარმოადგენენ ფიცი, ბრძანება და ლოცვა, რომლებიც არისტოტელურ არააპოფანტურ დისკურსს განეკუთვნებიან და სიტყვისა და საგნის, წინადადებისა და რეალობის რეფერენციულ და დესკრიფციულ სისტემას არ ექვემდებარებიან. არისტოტელეს თანახმად, *„ყველა*

---

[1] „quodlibet ens est unum, verum, bonum seu perfectum" (ნებისმიერი არსებული არის ერთი, ჭეშმარიტი, კარგი ან სრულყოფილი.

*წინადადება გამომთქმელ დისკურსად არ შეიძლება ჩაითვალოს, არამედ მხოლოდ ის, რომელშიც რაიმეს ჭეშმარიტება ან მცდარობა არის მოცემული; [ἀποφαντικὸς δὲ οὐ πᾶς, ἀλλ’ ἐν ᾧ τὸ ἀληθεύειν ἢ ψεύδεσθαι ὑπάρχει] ლოცვა, [εὐχὴ] მაგალითად, არის დისკურსი, მაგრამ ის არც ჭეშმარიტია და არც მცდარი.“* (Arist. De Interpretatione 16b33). შესაბამისაად პირველ პარაგრაფში განხილულია არააპოფანტური დისკურსი, ხოლო შემდეგ პარაგრაფებში მისი ცალკეული ფორმებია გამოკვლეული, კერძოდ, **ფიცი, ლოცვა** და **ბრძანება.** აგამბენის თანახმად, არააპოფანტური ლოგოსი თანამედროვე ბიოპოლიტიკური ძალაუფლების შეფარული წყაროა. არააპოფანტური ლოგოსის ფუნქციისა და მნიშვნელობის გამოკვლევით და მისი სამი ძირითადი ელემენტის იდენტიფიცერიბით საბოლოოდ მივედით დასკვნამდე, რომ სინგულარული და თვითმანიფესტირებადი გამოთქმები შეიძლება მოდალური ონტოლოგიის ველში გამოითქვას. სტრუქტურის მიხედვით ბრძანება, ლოცვა და ფიცი იმპერატიულ-ჯერარსული მოდუსის მქონეა და ისინი არ ეხებიან აწმყოს ინდიკატივში. დამატების სახით აღვნიშნავთ, რომ ანალიზურმა ფილოსოფიურმა ტრადიციამ აწმყოს ინდიკატიური ონტოლოგია შთანთქა. თუმცა, აგამბენის განზრახვა რადიკალურად განსხვავებულია და არისტოტელური არააპოფანტური ლოგოსის თანამედროვე ფილოსოფიურ რეფლექსიაში დაბრუნებით, ის დასავლური პოლიტიკური ძალაუფლების ფარული სტრუქტურების გახსნას ცდილობს. ეს ძალაუფლება კი არააპოფანტური ლოგოსით არის შენიღბული, ის მის ნიღაბს ატარებს.

## თავი VIII

უკანსკნელი **თავი-„ნების არქეოლოგია“** მჭვრეტელობითი სიცოცხლის ერთ-ერთ ელემენტს, ნებას ეხება.

ფილოსოფიის ისტორიაში გავრცელებული თვალსაზრისით, რომელსაც ჰანა არენდტი და ჯორჯო აგამბენი

ახმოვანებენ და რასაც ანტიკური ფილოსოფიის ზოგიერთი მკვლევარი არ ეთანხმება, ნების გამოკრისტალების თეორიული საფუძველი არა ძველ საბერძნეთში, არამედ შუა საუკუნეების ქრისტიანულ თეოლოგიაში უნდა ვეძებოთ. ამგვარი ინტერპრეტაციის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ ძველი ბერძენი შესაძლებლობის და არა ნების ადამიანი იყო. შესაბამისად, კიდევ ერთი რთული კითხვა რომელიც უნდა დავსვათ, შესაძლებლობისა და ნების ურთიერთმიმართებას ეხება. რამდენად განსაზღვრავენ ისინი ერთმანეთს, თუ მათ შორის არანაირი კავშირი არ არსებობს? ბერძნულ ფილოსოფიაში ნების არსებობის დადასტურების აგამბენისეული მცდელობების მიუხედავად, ის საბოლოოდ შესაძლებლობისა და ნების საკითხს ძალიან გამარტივებულ ბინარში განჭვრეტს. აგამბენის აზრით ანტიკური ადამიანი შესაძლებლობის ფარგლებს არ ტოვებს, ის შესაძლებლობის სუბიექტია, ხოლო ქრისტიანულ კონტექსტში შესაძლებლობის კატეგორია ნებას ექვემდებარება. შესაბამისად, ქრისტიანული სუბიექტი არის არა პოტენციალობის, არამედ ნების სუბიექტი. აგამბენის თეზისი შემდეგში მდგომარეობს, რომ ანტიკური სამყაროდან თანამედროვე სამყაროზე გადასვლა შესაძლებლობიდან ნებაზე გადასვლის პროცესს ემთხვევა.

ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში ტრადიციული შეხედულების გადასინჯვაა. ამიტომ, ნაშრომის უკანასკნელ თავში ნების ანტიკურ ფილოსოფიურ ტრადიციაში არტიკულირება არის ნაცადი, თუმცა, ნების მეტაფიზიკის არქეოლოგიური კვლევა ცალსახა და ბოლოვადი პასუხის გაცემას ნების წარმოქმნის ისტორიული და თეორიული კონტექსტის შესახებ ვერ შეძლებს. როგორც უკვე აღინიშნა, საკუთრივ ნება მრავალი ფილოსოფოსის მიერ ხელოვნურ კონცეპტად არის მიჩნეული და მის არსებობაში ეჭვი შეაქვთ. ყოველ შემთხვევაში, ნების ანტიკური და ქრისტიანული პარადიგმების შეპირისპირებით, მსგავსებისა და განსხვავებების დაძებნით, არენდტისა და აგამბენის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ

ტექნიკურად ნების ქრისტიანულ თეოლოგიაში გაჩენა, ანტიკურ ფილოსოფიაში მის აბსოლუტურ არარსებობას არ გულისხმობს.

## დასკვნა

წინამდებარე კვლევის საგანს ჯორჯო აგამბენის ფილოსოფიაში ანტიკური და შუა საუკუნეების პარადიგმების კონტექსტში ქმედითი და მჭვრეტელობითი ცხოვრების ფორმები წარმოადგენს. ნაშრომში გაკეთებული დასკვნები და მიღწეული შედეგები ფილოსოფიის გარდა, სიახლეა აზროვნების სისტემების ინტერდისციპლინური კვლევებისთვისაც. თვალსაჩინოებისთვის მიზანშეწონილი იქნება კვლევის შედეგების თანმიმდევრული რეპრეზენტაცია.

1. ქმედითი ცხოვრების პარადიგმის კონტექსტში გამოვიკვლიეთ აგამბენის პოლიტიკური ფილოსოფიის ძირითადი ფიგურები; ლეგალურ-სამართლებრივი თემიდან გაძევებული Homo Sacer და მისი მიმართება სუვერენთან და საგანგებო მდგომარეობასთან.
2. ქმედითი ცხოვრების პარადიგმას განეკუთვნება აგრეთვე ეკონომიისა (მოქმედება) და ონტოლოგიის (არსებობა) თეოლოგიური არტიკულირების შესწავლა. ბიოპოლიტიკის დაბადებასთან დაკავშირებით კვლევის შედეგად გამოიკვეთა აგამბენის ჰიპოთეზის გადასინჯვის საკითხიც. აგამბენისთვის თანამედროვე უპიროვნო ადმინისტრაციულ-მენეჯერული ძალაუფლების დაბადების ადგილი ქრისტიანულ თეოლოგიაში უნდა ვეძებოთ. აგრეთვე დადგინდა უნცაური კავშირი სამართლებრივ-პოლიტიკურ კატეგორიებსა და თეოლოგიურ ცნებებს შორის. მაგალითად, ანარქია და კოლატერალური შედეგი, აგამბენის

თანახმად, ქრისტოლოგიასა და ტრინიტარული ეკონომიის კონტექსტში გაჩნდა. ჩვენი თეზისის მიხედვით, ბიოპოლიტიკის ისტორიული გამოკრისტალების ადგილი ფუკოს მიერ მითითებული პასტორატი უფროა, ვიდრე აგამბენის მიერ ნავარაუდევი ქრისტიანული თეოლოგია.

3. აგამბენის მიერ პავლე მოციქულის ეპისტოლეების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოვიკვლიეთ კანონის პავლესეული კრიტიკის და მესიანური ხდომილების სტრუქტურული მსაგვსება საგანგებო მდგომარეობასთან. აგრეთვე ქრისტიანული თეოლოგიის კონტექსტში აგამბენის კვალდაკვალ მივედით დასკვნამდე, რომ მჭვრეტელობა და უქმეობა ერთმანეთის განმსაზღვრელია.

4. ჯორჯო აგამბენის მიერ ჟაკ დერიდას დეკონსტრუქციული პროექტის კრიტიკის კონტექსტში, ხმისა და ნაწერის ურთიერთმიმართება გამოვიკვლიეთ. როგორც გაირკვა, აგამბენის თეზისის თანახმად, ხმა, იქნება ის არისტოტელური მატერია თუ პლატონური ხორა, ერთგვარი ცვილის დაფაა, რომელზეც ენობრივი სიმბოლოები და ნიშნები აღიბეჭდებიან. ხმას არის ენა და ენა არის ხმა. სწორედ ამიტომ ის თვლის, რომ გრამატოლოგია და შესაბამისად ნაწერი, დასავლურ ფილოსოფიაში ყოველთვის ხმაზე უპირატესად მიიჩნეოდა, რაც დერიდას ფონო-ლოგოცენტრისტული პროექტის საპირისპირო მტკიცებას წარმოადგენს. თუმა ჩვენი თეზისის თანახმად, აგამბენი და დერიდა საბოლოოდ ერთ პოზიციას იზიარებენ, უბრალოდ აგამბენი

გრამატოლოგიას ანტიკური ფილოსოფიის მონაპოვრად მიიჩნევს.

5. აგამბენის მიერ პლატონური „თავისთავადი საგნის“ ინტერპრეტაციის კონტექსტში ენის ფილოსოფიასა და შემეცნების თეორიაში გამოუთქმელისა და გამოთქმადის ურთიერთმიმართება გამოვიკვლიეთ. პლატონის „მეშვიდე წერილის“ ენობრივი მნიშვნელობის სტოიკური თეორიის შესწავლის მეშვეობით მივედით დასკვნამდე, რომ გამოუთქმელი შესაძლებელია მხოლოდ ენაში და ენის მეშვეობით არსებობდეს, მიუხედავა იმისა, რომ ზოგიერთი მოაზროვნე, მაგალითად ვალტერ ბენიამინი ფილოსოფიის ამოცანად გამოუთქმელის ენიდან გაძევებას მიიჩნევს.

6. მჭვრეტელობითი და ქმედითი ცხოვრების პარადიგმათა კონტექსტში ერთმანეთს შევადარეთ ჰანა არენდტისა და ჯორჯო აგამბენის ფილოსოფიები. შეიძლება ითქვას, რომ აგამბენის მიერ მოქმედების და მჭვრეტელობის კატეგორიები არენდტისაგან განსხვავდება და უფრო მეტიც, მის კრიტიკას წარმოადგენს.

7. აგამბენის მიერ ხაზგასმული და აქტუალიზირებული პრობლემების შემდგომი კვლევით და განვითარებით, მივედით დასკვნამდე, რომ არისტოტელური არააპოფანტური ლოგოსი, რომელიც ჭეშმარიტებისა და მცდარობის მიღმა მყოფი სინგულარული გამოთქმაა, მოდალურ ონტოლოგიას განეკუთვნება. იტალიელი ფილოსოფოსის თანახმად, დასავლური კულტურული და ფილოსოფიური ტრადიცია ორ განსხვავებულ, თუმცა ერთმანეთთან

დაკავშირებულ ონტოლოგიას იცნობს. პირველს აგამბენი აპოფანტური გამოთქმის ონტოლოგიას უწოდებს, რომელიც თავისი არსით ჩვენებითია. ხოლო მეორეს ბრძანების ონტოლოგიას არქმევს, რომელიც თავის მხრივ იმპერატიულია. ჩვენი თეზისის თანახმად, არააპოფანტური ლოგოსიც და იმპერატივიც მოდალურ ონტოლოგიის ნაწილს წარმოადგენენ, ისევე როგორც ფიცი და ლოცვა.

8. ჰანა არენდტისა და ჯორჯო აგამბენის მიერ ნების საკითხის კვლევის საფუძველზე და მათ საწინააღმდეგოდ, მივედით დასკვნამდე და დავუშვით, რომ ნების ფენომენი ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში არსებობდა და ის არის მხოლოდ ქრისტიანული თეოლოგიის მიერ შექმნილი.

აგამბენი მოდერნულობის უნივერსალური ნარატივის ინტელექტუალი ნამდვილად არ არის, თუმცა, მისი პოსტმოდერნული ფილოსოფიური რეფლექსიის კონტექსტში განხილვაც არ შეიძლება. აგამბენს „ეტიმოლოგიზმში“ ადანაშაულებენ და მისი პოლიტიკური დასკვნების უმრავლესობას რადიკალურს, პესიმისტურსა და არარელევანურს უწოდებენ. ნაშრომში ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიის კონტექსტში ქმედითი და მჭვრეტელობითი სიცოცხლის ფორმების პარადიგმები გამოვიკვლიეთ, რომლებიც აგამბენთან ახლებურად არის ინტერპრეტირებული, ხოლოდ თავის მხრივ, ჩვენი კვლევა ამ ინტერპრეტაციის ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

*Manuscript copyright protected*

**Lasha Matiashvili**

# Vita activa and vita contemplativa: Ancient and Medieval Paradigms in the Philosophy of Giorgio Agamben

## Synopsis

of the dissertation submitted in partial fulfillment for the Degree of Doctor of Philosophy ( PhD) in Philosophy

Tbilisi
2018

This doctoral dissertation has been written at the Institute of Philosophy of the Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Academic Supervisor: **Lela Alexidze**
Doctor of Philosophical sciences,
Professor

Reviewers:

The defence of the dissertation will be held on 2017, at 16:00, at the session of the Dissertation Committee of the Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Address: Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Room, Building I. Chavchavadze Ave.0179, Tbilisi.

A copy of the dissertation is available at the research library of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Acting Scientific Secretary of the Dissertation

Council, Doctor of Historical Sciences,

Associate Professor

**Ketevan Khutsishvi**

## Introduction

Presented investigation is dedicated to the philosophy of contemporary Italian thinker, Giorgio Agamben. One of the main purposes in this work is an exploration of an active and contemplative ways of live in the context of ancient and mediaval philosophical and theological thought. However, this is not merely an inquiry into the history of philosophy, but following Agamben's archeological and genealogical methodology we ventured to link the ancient and medieval paradigms and structural elements of active and contemplative life to the modern philosophical, cultural and political discourses. We can say, that presented research is an archeology of our own present world, which from the horizon of historical temporality contemplates something, which is in front of us, which is presented to us, but we do not see, what we should see, what should be felt and think upon, but neither feel nor think about this uncertain something. Philosophical archeology is the shadow directed from the present to the past, which helps us to see an essence and condition of our own moderinity. It is hard to see in its totality an object, which is extremely close to our eyes, thus for the comprehension of our own time, we should take a distance from it.

## General Characteristics of the Work

